



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 01

10 01 2017 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის სსიპ - მუნიციპალური განვითარების ფონდისაგან სესხის მიღებაზე წინასწარი თანხმობის მიცემის თაობაზე

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის სხდომის N1 ოქმის მე-3 საკითხის შესაბამისად, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ,ბ“ და „გ,ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის პირველი მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 30 დეკემბრის N03/10738 და 2017 წლის 6 იანვრის N03/97 წერილებით შემოსული დოკუმენტაციის გათვალისწინებით,

1. მიეცეს თანხმობა, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მერაბ თოფჩიშვილს, საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის, 2016 წლის 12 ივლისს, გაფორმებული გრანტისა და სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში (შემდგომში - დაფინანსების ხელშეკრულებები), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სსიპ - საქართველოს მუნიციპალურ განვითარების ფონდს შორის, 2016 წლის 28 სექტემბერს, გაფორმებული ქვესასესხო ხელშეკრულების შესაბამისად საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტისათვის (შემდგომში - პროექტი), მარნეულის მუნიციპალიტეტის სახელით გააფორმოს 521,814.00 (ხუთასოცდაერთი ათას რვაასთოთხმეტი) ლარის ოდენობის (სავარაუდო ღირებულების) თანხის სასესხო ხელშეკრულება.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა №4), მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
 საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი